1-ს მარტს — წელიწადი მეორე. — 1884 წელსა.

მწყემსი

№ 5.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით. გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: არა ოფიციალური ნაწილი. ქადაგების სიტყვის გავრცელების საჭიროების შესახებ.— მწყემსთა და სამწყსოთა საყურადღებო. — წერილები ათონიდამ. — კიდევ ქართული საეკკლესიო გალობის კითხვისა გამო. — ნუზალის მონასტერი ოსეთში. — წერილები რედაქტორთან: I. რაჭიდამ, II. შორაპნიდამ.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—სწავლა და მეცნიერ... ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე. სიტყვა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. — სიტყვა თქმული ბ. მ. ბარნაბოვის მიერ. — მცხეთის სობორო. —ქრისტე ცოდვილსა სულსა მოუწოდებს თვისდამი. — მართლმადიდებელის ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის ზოგიერთი კითხვების ახსნა და განმარტება. გვირგვინისკურთხევის შესრულების შესახებ.— ნარევი. კალენდარული ცნობები.—განცხადებანი.

არა ოფიციალური ნაწილი.

ქადაგების სიტყვის გავრცელების საჭიროების შესახებ.

ცხადათ და აშკარათ, ნასწავლ ხალხში და უსწავლელში, ქალაქებში და სოფლებში ერთნაირად ისმის მწუხარება და სამდურავი სამწყსოთაგან მოძღვრების გაჩუმებაზე და ყოველ-ნაირი მოძღვრობის და სიტყვის მოსპობაზე ეკკლესიებში. ძველანი მწუხარებით მოიგონებენ იმ ძველ დროს, როდესაც საქართველოს ხალხს ნიადაგ ესმოდა თავიანთ მოძღვართა დარიგება და ქადაგება ეკკლესიის კათედრიდამ. სრულდება აგერ ერთი საუკუნე, რაც მოძღვრებითი სიტყვა შესწყდა ეკკლესიებში. საუბედუროთ, არა მარტო ჩვენში ინიშნებოდა ეს სამწუხარო მოვლენა; ესევე იყო რუსეთშიაც ამ ბოლოს დრომდე, მაგრამ დღეს იქ სულ სხვა წესებს ვხედავთ და სულ სხვა ზომებია მიღებული სამღვდელოებისაგან, თუმცა იქაც ემდურიან კიდევ სამღვდელოებას არა ქადაგებისათვის.

რუსეთის იმპერიაში, როგორც ანგარიშებიდამ სჩანს, ირიცხება ორმოცდა ორი ათასი შტატის ეკკლესიები და ოცდა ცხრამეტ ათასამდე ეკკლესიის კრებულნი. არ შეიძლება ამდენი სამღვდელოება ხალხს არ უქადაგებდეს და არ მოძღვრობდეს. ჩვენს საქართველოშიაც, რომელშიაცა ორი ათასამდე ირიცხებიან მწყემსნი, არ შეიძლება სულ გაჩუმებულნი იყვნენ მწყემსნი და ხალხს მღვდელ-მოქმედებას გარდა არ ასწავლიდენ და არ მოძღვრობდენ; მაგრამ ამისთანა მქადაგებელნი და მოძღვარნი ძლიერ მცირენი არიან და მათი თესლიც, უნდა ვსთქვათ გამოტეხილად, შეუმჩნეველი და მცირე ნაყოფიერი.

პავლე მოციქულის სიტყვებს: „ჰქადაგეთ სიტყუაი. ზედადეგ ჟამითი უჟამოდ, ამხილე, შერისხენ და ნუგეშინის-ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა,“ არა აქვს მიქცეული, ჩვენ მწყემსთაგან, ჯეროვანი ყურადღება. ხალხი გონებით ნიადაგ ერთ წერტილზედ არასოდეს არა დგას. მისი გონებითი ცხოვრება ნიადაგ მოძრაობაშია; წარსული ცხოვრების დაკვირვებით იგი პროგრესიულად წინ ადგამს ბიჯს. ხშირად მოხდება, რომ რომელთამე მიზეზთა წყალობით ეს პროგრესიული ხალხის გონებით მოძრაობა შესდგეს, შეჩერდეს დროებითად, მაგრამ მიზეზის მოსპობისათანავე ისევ გაჩქარებით წინ მიდის.

როგორც ერთი კაცი ისე მთელი საზოგადოება საჭიროებს სულიერს საზრდოს. როგორც საჭმელი და სასმელი არის ჩვენი ხორცისათვის საჭირო ისე გონებისათვის არის მიუცილებელად საჭირო სულიერი საზრდო. ვსთქვათ, პური და ხორცი, ანუ ჩვეულებრივი საზრდო შემოაკლდა კაცს, ის სხვა საჭმელს შეეჩვევა უთუოდ. კაცის ტანი ნიადაგ საზრდოს თხოვილობს და ჩვეულებრივი საზრდოს მოსპობის დროს კაცი ხმარობს ხის ქერქს, ბალახებს, ფოთლებს და სხვათა...

ასევე ითქმის სულიერ საზრდოზედაც. კაცის გონება ვერ დაცხრება; იმას უნდა სულიერი საზრდო, საზრდო კეთილი, სასარგებლო მისთვის. თუ ამისთანა საზრდოს ვერ იშოვის იგი, მაშინ სხვა საზრდოს მიეჩვევა; შეიძლება ეს საზრდო მისთვის სასარგებლო არ იყოს, მაგრამ რა ქმნას, მისდა უნებურად იკვებება ცუდი სულიერი საზრდოთი. რატომ აფრთხილებს მოციქული პავლე თიმოთეს, რომ ნიადაგ ასწავლიდეს, ნიადაგ ჰქადაგებდეს ჟამითი უჟამოდ? მისთვის, რომ ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თვისნი გარემიიქცნენ, და ზღაპრებსა მიეცნენ. (ტიმ. პავლ. 4—4).

ეს იყო იმდროს, როდესაც სტამბები არ არსებობდნენ; ყოველ ამბავს ან სიტყვით გადასცემდენ ერთი მეორეს, ან ხელნაწერით. ახლა რას ვხედავთ ჩვენ? თითქმის ყოველ ქალაქებში არიან სტამბები გამართულნი; ბეჭვდა ყოველ გვარი წიგნებისა გაადვილებულია და ამისათვის მათი მოპოებაც ყველასთვის საადვილოა. ერთმა ღმერთმა იცის, როგორი ზღაპრები და მოთხრობაები იბეჭდებიან ეხლა. „ქარამანიანების“ მეორე და მესამე გამოცემას თხოვილობს ხალხი!.. რისთვის? მისთვის, რომ სხვა შესაფერი სულიერი საზრდო არა აქვს. მრავალჯერ აღუძრავს ამის შესახებ კითხვა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს. და გამოუცხადებიათ სურვილი, რომ ხალხის გონება არ იკვებებოდეს ამისთანა შეუსაბამო მოთხრობაებით და ზღაპრებით... მივაქციეთ თუ არა ამას, ჩვენ მწყემსებმა, ყურადღება? რა საშუალება ვიხმარეთ სახარების სწავლის გავრცელებისათვის ხალხში? ვმოძღვრობთ ჩვენ ვალისამებრ ჩვენისა სამწყსოთა? ვისარგებლეთ თუ არა ჩვენ ეხლანდელი სტამბებით? მივაწოდეთ თუ არა ჩვენ სულიერი საზრდო სამწყსოთა როდესაც ვხედავთ, რომ იგინი იკვებებიან არა სასარგებლო სულიერითა საზრდოითა?.. სამწუხაროდ, არც ერთ ამ ზემო მოყვანილ კითხვებზედ არ შეგვიძლია ჩვენ რიგიანი პასუხის მიგება...

საზოგ დოთ, რომ სთქვას კაცმა, ჩვენი სამღვდელოება იმდენად დამნაშავე არ არის ამ სისუსტეში რამდენათაც იგი პირველ შემთხვევაში ეჩვენება კაცს. მრავალი მიზეზები უშლიან მას სამწყსოთა რიგისამებრ კეთილად დამწყსვას. მრავალი მიზეზები ეღობებიან მას გზაზედ. პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისთანა მისი სისუსტისა არის რიგიანად მოუმზადებლობა და უსწავლელობა; მეორედ ჩვენი ქართული სასულიერო ლიტერატურის დაცემა და ამასთან სხვაც მრავალი... დამნაშავენი არიან ისინიცა, ვისაც შეუძლიათ თავის ნიჭით, სწავლით და შეძლებით ამ საქმეს დაეხმარონ, მაგრამ არ დასდევენ ამისთანა საქმეს და თავისი ტალანტი მიწაში დაუმარხავსთ.

მთელს საქართველოში ორ დიდ ტაძარში ისმის ქადაგება; მარტო ორ ქალაქში ბრწყინავს ხოლმე სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის სწავლის ლამპარი. მაგრამ ეს ლამპარი ანათებს მარტო ტაძარში და მის სინათლეს ჰხედავს მარტო ამ ტაძრებში მოსიარულე ხალხი; დანარჩენი ხალხი კი მოკლებულია ამ ლამპრის სინათლეს...

ჩვენ მწყემსთა დიდი მოფიქრება გვმართებს ამ შემთხვევაში. ვერ გავიმართლებთ ჩვენ თავს ვერც უსწავლელობით, ვერც ნივთიერ შეუძლებლობით და ვერც სხვა რაიმე მიზეზით. თუ კი ვისურვეთ მწყსობა ვალდებულნი ვართ ვიყვნეთ კეთილ-მწყემსნი და ვიხმაროთ ყოველივე ღონის ძიება კეთილად ცხოვართა დამწყსვისათვის. ჩვენ თუ ვერაფერს გამოვიგონებთ, ჩვენ თუ სწავლით სუსტნი ვართ, ვეცადოთ და მივბაძოთ სხვებს მაინც და წავიყვანოთ ჩვენი საქმე რიგიანად.

ჩვენ ვეცდებით შემდეგში მოვიყვანოთ ყველა ის ზომები და მოსაზრებანი, რომლის საშუალებით სხვა ადგილებში მოძღვარნი მწყსიან სამრევლოთა თვისთა კეთილად და რომელთა წახედვით და მიბაძვით ჩვენც დიდი სარგებლობის მოტანა შეგვიძლია ქართველთა ერისათვის...

მწყემსთა და სამწყსოთა საყურადღებო.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს, როგორც ჩვენი ორგანოს საშუალებით, ისე სხვა-და-სხვა სასულიერო ჟურნალ-გაზეთებში ის აზრი, რომ სარჩოს კრება სამღვდელოებისაგან სამრეველოში არის ერთი უმთავრესი მიზეზი მისი პატივის და გავლენის დამცირებისა მრეველის თვალში; ამაზედ დიდი ლაპარაკი და წერა არის აღძრული მთელ რუსეთის იმპერიაშიაც; მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში, თვითონ ჩვენ სამღვდელოება ვართ დამნაშავე; და არა მარტო ჩვენ—ჩვენი სამწყსონიცა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ თავის მრეველის მღვდელს მოწაფე აძლევს თავის ნებით და კეთილი განზრახვით რომელიმე მღვდელ მოქმედების აღსრულებისათვის საჩუქარს; მღვდელიც ართმევს ამ საჩუქარს, როგორც კეთილის ნებით მონაცემს. მაგრამ ამისთანა საჩუქარს, სამწუხაროდ, ხშირად მოსდევს მღვდლის პატივის, წოდების და გავლენის დამდაბლება ხალხის თვალში. მღვდელიც და მრეველიც ვარდებიან ერთად შეცდომაში; ამით არა თუ მარტო მღვდლის სახელს, წოდებას და პატივს ამდაბლებენ, არამედ შეურაცხყოფენ თითქმის თვითონ მღვდელ-მოქმედებასაც, საიდუმლოსაც...

ვიღოთ მაგალითებრ წესი აღსარებისა. ყველამ კარგად იცის, რომ აღსარება არის ერთი უდიდესი და უსარგებლოესი ჩვენი ეკკლესიის დაწესებულებათაგანი ყოველთა ქრისტიანეთათვის; ვერ გამოთქვამს კაცი იმ სულიერ და ხორციელ სარგებლობას, რომელსაც აღმსარებელნი მიიღებენ აღსარებით.

ყედის აღმსარებელი ეკკლესიაში დაცემული და დაუძლურებული სულითა და ხორცითა; მაგრამ აღსარების თქმის შემდეგ გამოდის ეკკლესიიდამ აღდგენილი და განმტკიცებული სულითა და ხორცითა.

ხააღსარებო ადგილზე მწყემსსაც და სამწყსოსაც დიდი კრძალვა მართებს; მათ ცოტა ხნობით უნდა დაივიწყონ ყოველივე ქვეყნიური ანგარიშის საქმე და ფიქრობდნენ სულიერ მკურნალობაზედ.

ამდენათაც ჩვენი საეკკლესიო ისტორია და სხვა წერილები მოგვითხრობენ, საქართველოს ეკკლესიაში სამღვდელოებას არასოდეს არ ჰქონებია ის ჩვეულება, რასაც ეხლა ეხედავთ ჩვენ.

ეს, სადაც ასვენია ბაცხოვრის ხატი და ჯვარი, შეხედავთ ხშირად აღმსარებლისაგან დადებულ ფულს, მღვდლის საჩუქრად; ან არა, და აღმსარებელი ხელში აძლევს მოძღვარს ფულს. მღვდელიც, შევიწროებული ნივთიერი მდგომარეობისაგან, ართმევს აღმსარებელს ფულს. მს ცუდი ჩვეულება, ჩვენდა სანუგეშოდ, სოფლებში არ არის ისე გავრცელებული, როგორც ქალაქებში.

ბღვდელი, მართალია, შრომობს; ის ამზადებს აღმსარებელს ერთი კვირა და ღირსია თავისი საშრომი, სარჩო მიიღოს, მაგრამ განა არ შეიძლება ზიარების შემდეგ მისცენ? არ შეიძლება, რომ შინ გაუგზავნონ ეს საჩუქარი? როგორ არ შეიძლება, მაგრამ აღმსარებელს თავი ექებება და ეკკლესიაშივე აძლევს; ხშირად გაბედავს იმასაც, რომ ანალოგიაზე დაუდვას მღვდელს ფულები! მღვდელიც, სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ ამხილოს აღმსარებელს, და უთხრას, რომ იქ ფულის ანგარიშის ადგილი არ არის; არ მიიღოს მისგან ფული და ამით აღამაღლოს თავის პატივი და წოდება აღმსარებლის თვალში, ართმევს აღმსარებელს ფულს და მადლობასაც ეუბნება!

ბრო არის ამ ცუდ ჩვეულებას მივაქციოთ ყურადღება. დრო არის მოვსპოთ ამისთანა ჩვეულებანი, რადგან ისინი ამდაბლებენ მღვდლის ხარისხს და წოდებას მრეველთა თვალში.

ექნება იფიქროს ვინმემ, რომ ამით ეს შესავალი მღვდლებს სრულებით მოესპოს და მოკლებულნი შეიქმნენ ამ შემოსავლის წყაროს; მაგრამ ეს საფიქრებელი არ არის. ჩვენს საქართველოს ხალხში ყოველთვის ჩვეულებათ ჰქონებიათ და დღესაც მრავალი ძველ ჩვეულებაზე ადგია: მღვდლის საჩუქარს, შრომისათვის ანალოგიაზე კი არ უყრიდა, ანუ ეკკლესიაში კი არ აძლევდა, არამედ ერთი ორი კვირის შემდეგ სახლში უგზავნიდა და, ან თვითონ აძლევდა. მსევე ჩვეულება არის ზოგიერთ ადგილს სოფლებშიაც დღეს. ბეშმარიტი ქრისტიანი, რომელიც მღვდელს უყურებს, როგორც სულიერ მამას და პატივს ცემს მას, როგორც ღვთის მოსამსახურეს, რადგან მას ჯამაგირი არა აქვს, და იცის თავის მღვდლის სარჩოს წყაროები, შემდეგშიაც არ დაივიწყებს მას; იმისთანა აღმსარებლისაგან კი, რომელსაც ამისთანა აზრი არა აქვს, მღვდელზე და აღსარებაზედაც სულ სხვა აზრი აქვს შედგენილი, სრულებით არ არის რიგი რომ რაიმე მიიღოს მღვდელმა მისგან.

ეგ სტრიქონების დამწერის ეკკლესიაშიდაც სუფევდა ეს ცუდი ჩვეულება, მაგრამ ორი სამი სიტყვის შემდეგ ადვილად მოისპო. საზოგადოებასაც ბოლოს სასიამოვნოდ დაურჩა ესე, მაგრამ ისინი არ იშლიან თავის ძველ ქართულ ჩვეულებას; ისინი მღვდელს უგზავნიან, ან თვითონ მიუტანენ საჩუქარს თავის სახლში. მს ცუდი ჩვეულება, ვიმეორებთ, უფრო გავრცელებულია ქალაქებში და ამისთვის

უმეტესად მივაქცევთ ამაზე ყურადღებას ქალაქების მწყემსთ და სამწყსოთა...

ჯეორე ცუდი ჩვეულება აღსარების თქმის დროს, დამბადებელი აღმსარებელთა შორის ცუდ აზრთა და უსიამოვნებათა, წარმოსდგება იმ წესისაგან, რომლითაც ამღსარებელნი მიდიან მღვდელთან სააღსარებოთ. ეკკლესიის კარებს არის მიხვეული თითქმის ყველა მაზიარებლები, ყველას უნდა მალე შეასრულოს აღსარება და წავიდეს. ამ შემთხვევაში ხშირად დავიწყებულია ზრდილობა და თავაზიანობა; ამათ მაგიერ მოქმედებს ძალა: ვისაც იმდენი ღონე აქვს, რომ გააპობს ხალხს და მივა ეკკლესიის კარებთან, ის შევა სააღსარებოთ და სუსტი დედა-კაცები და ბავშვები კი უკან რჩებიან. თან-და-თან იკარგება, სხვების წახედვით ჩვენში, ქართველური თავაზიანობა და ზრდილობა.

ესმისთანა შემთხვევაში მღვდლები ხმარობენ სხვადა-სხვა ზომებს, მაგრამ არც ერთი მათგანი მიღებული და ხმარებული ზომა სასარგებლო არ რჩება; მათი დარიგებაც ხშირად უნაყოფოდ რჩება და მომდურავი აღმსარებელნიც ბევრნი არიან.

ესე, სადაც ამისთანა უწესობა ხდება აღსარების თქმის დროს იმაზე, თუ ვინ მივიდეს მღვდელთან პირველად და ვინ შემდეგ, საჭირო არის მღვდელმა დაიდვას წინ აღსარებითი სია და აღსარებითი სიისამებრ მოუწოდოს აღმსარებელთა. მაშინ ყველას ეცოდინება, თუ როდის შეხვდება მას რიგი აღსარების თქმისა. ყოველ ნაირი ძალადობა, დამდურება და უწესობა მოსპობილი იქმნება სამუდამოდ. ამას გარდა ეს წესი გაუადვილებს მღვდელს შრომას, — მას მეორეთ სიის შედგენა აღმსარებელთა არ დასჭირდება.

წერილები ათონიდამ.

(გაგრძელება) *)

ყემდეგ შესრულებისა ივერიის მონასტრისა და იოანნე ქართველის სიკვდილისა 984-ს წ. გამოცხადდა ის ეთის-მშობლის ხატი, რომელიც ზღვაში ჩაეშვა ივერიის ქვრივს და რომელზედაც ათონის ქართველებს აცნობა იმ ქვრივის შვილმა ასი წლის წინეთ ის ნიშნები, რომლითაც იცნეს იგი.

ესმ დროს ახალს ივერიის მონასტერში წინამძღვრად იყო მეთიმეს შვილი იოანნე ქართველისა

*) „მწყემსის“ № 4.

და ძველ ათოს მონასტერში პავლე. ეს ორივე წინამძღვრები დიდს პატივს ცემდნენ ვინმე დაყუდებულს ქართველს მღვდელ-მონაზონს ბაბრიელს, მოწაფეს იოანნე ქართველისას. ამ ბაბრიელისაგან დარჩა მთასა მას სახელი ბაბრიელისა. მოვიდა რა ხატი ზღვით, მონასტრელებმა იხილეს სინათლის სვეტი, რომელიც ადგა ხატსა მას. შევიდნენ ბერები ზღვაში გამოსასვენებლად ხატისა, ხოლო ხატი იგი, რამდენს სცდილობდენ მასთან მიახლოებას, იმდენს შიგნით მიიწეოდა. მაშინ მოისმა ხმა: ქართველი ბაბრიელი ღირსი არს მიღებად ხატისა ამის; მივიდნენ ბაბრიელთან და სთხოვეს გამოესვენებინა ხატი იგი. ბაბრიელმა მათზე უწინ იხილა ჩვენება ეთის-მშობლისაგან, რომელმაც უთხრა ბაბრიელს: უთხარ ქართველთა, რომ ნიშნად ჩემის მათდამი მფარველობისა ვაძლევ ხატსა ჩემსა მათ. ბამოასვენა რა ხატი იგი ბაბრიელმა, პირველად დაასვენეს ზღვის ნაპირას. ეს იყო აღდგომის სამშაბათს. იმ ადგილზე, სადაც პირველად დაასვენეს ხატი იგი, იქმნა სასწაული და აღმოსდინდა წყარო, რომელიც დღესაც სდის და რომელსაც ყოველ წლივ დღესასწაულობს მთელი ათონი. იმავე ბაბრიელს ეჩვენა, რათა ეთის-მშობლის ხატი იგი დაესვენებიათ კარსა ზედა ივერიის მონასტრისა, ნიშნად მფარველობისა ეთის-მშობლისა ქართველთა.

ოთიმე წინამძღვრობდა ივერიის მონასტერში 18 წლის განმავლობაში (1006—1023). ამან თავის წინამძღვრობის დროს დიდი შემწეობა მისცა მთელ ათონს: ვითარცა წმიდა კაცი, ნიჭიერი და ყოჩაღი ყოველ კეთილ საქმეში, ყოველი კაცისაგან პატივცემული და საყვარელი იყო, ამისათვის ყოველთვის სცდილობდა და ასრულებდა კიდეც ბევრნაირ საზოგადო კეთილ საქმეებს.

ესირველად ივერიის მონასტერში არ იღებდნენ ბერძნებს, ხოლო მერმე დაიწყეს მათი მიღება მეჯორეებათ და მენავეებათ. ეს ორი ხელობა უსაჭიროესია ათონის ცხოვრებაში; ამისათვის იწყეს იმათი მონასტერშიდ მიღება.

ოთიმეს შემდეგ იყო წინამძღვრად ივერიის მონასტრისა ბიორგი ბარასვაჩე, ნათესავი იოანნე ივერიელისა. ამან მართა მონასტერი 17 წელიწადს, რომლის განმავლობაში ქართველების საქმისთვის ვნების მეტი არა მოუტანია-რა. სამოქალაქო საქმეებში გართული, ის ძრიელ ცოტას ზრუნავდა თავის მოძმეებისთვის; მონასტერში გაამრავლა ბერძნების რიცხვი და სრულებით არ იზრუნა ქართველების გამრავლებაზედ და გამაგრებაზედ.

გიორგი II წინამძღვრობის დროს გარდაიცვალა მეფე კონსტანტინე, დიდი მფარველი ათონისა, რომელსაც დარჩა ახალგაზდა მშვენიერი მეუღლე და მცირე წლოვანი შვილი მიხაილი. მიხაილის დედა მიყვა რომანოზ არგირს, რომელმაც მისთვის, რომ წინამძღვარი გიორგი წინააღმდეგი იყო მის გამეფებისა, განდევნა იგი. და ბევრი მამულები ჩამოართვა მონასტერს.

შემდეგ გიორგი განდევნილისა წინამძღვარად ივერიის მონასტრისა დადგენილ იქმნა ქართველი გრიგოლ. ამ ჟამად აღიძრნენ ივერიის მონასტერში შეწყნარებულნი ბერძენნი წასართმევად მონასტრისა. იღუმენი და უფროსი ძმობა ქართველების დააწყვდიეს ბერძენთა და მონასტრის მართველობა თვითონ ჩაიგდეს ხელში. მაშინ ქართველმა ძმობამ გაგზავნა არსენი, მონაზონი თავ შეწირული და მასთან სხვა რამოდენიმე საქართველოში მეფე ბაგრატ IV-სთან და სთხოვა მეფეს, რათა მას დაეცვა ისინი. მეფე ბაგრატმა IV მისწერა თავის ხელით მაშინდელ საბერძნეთის მეფეს მიხაილ პალეოლოგს. მეფე მიხაილ პალეოლოგის ბრძანებით განრჩეულ იქმნა საქმე ათონის ბერძნებსა და ქართველებს შუა, რომელიც გათავდა სასარგებლოდ ქართველებისა. ამასთანავე მიხაილ პალეოლოგმა დაუბრუნა ივერიის მონასტერს ის ადგილებიც, რომელნიც ადრე რომანოზისაგან იყვნენ ჩამორთმეული წინამძღვარი გიორგის ექსორიობაში გაგზავნის დროს.

როდესაც მიხაილ პალეოლოგის განკარგულებით ივერიის მონასტერი დაუბრუნეს ქართველებს, მაშინ მრავალნი ბერძენნი განდევნილ იქმნენ მონასტრისაგან და სრულიადაც შეეძლოთ ქართველებს განთავისუფლება ბერძნებისაგან, ხოლო გულ-ჩვილთა და შემბრალებელთა ქართველებთა სულ არ განდევნეს ისინი; მათ მიუჩინეს იმავე მონასტერში იოანნე ნათლის მცემლის ეკკლესია, რომ შეესრულებინათ წირვა-ლოცვა.

ათონის ბერი ბენედიკტე.

კიდევ ქართული საეკკლესიო გალობის კითხვისა გამო.

როგორც მკითხველებსაც ემახსოვრებათ, „მწყემსი“-ს მესამე ნომერში ჩვენ მოკლეთ დავხატეთ საეკკლესიო გალობის სანატრელი წასრული და, შედარებით, გაკვრით უჩვენეთ ის გულ-გრილობა, რომელსაც იჩენს დღეს სამღვდელო პირთა უმრავლესობა სოფლებში. მკითხველებს არ დავჰპირებივართ ამ საგანზე წერის გაგრძობას შემდეგ ნომერში, მაგრამ ზოგიერთნი გარემოებანი და დიდი მნიშვნელობა გალობისა გვაიძულებენ ერთხელ კიდევ მივმართოთ მკითხველებს და მათი ყურადღება მივაქციოთ გალობის საქმეზე.

საეკკლესიო გალობის ამისთანა სამწუხარო მდგომარეობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიწვია ბოლო დროს ზოგიერთნი გალობის მოყვარენი, რომლეთაც განიზრახეს დაკარგული გალობის აღდგინება და ნოტებზე გადაღება; მაგრამ მოუფიქრებლობამ და საქმის უცოდინარობამ ისე წაიყვანა საქმე, რომ აღდგინების მაგივრად კინაღამ საუკუნოდ დაასაფლავეს. ვინაც კი ცოტათი თვალყურს ადევნებდა გაზეთ „დროება“-ს, ადვილათ მოიგონებს ყველა მას, რაც ამა ხუთი წლის წინად ხდებოდა თფილისში, სიონის სობოროში, როცა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ გურიიდამ გამოიწერა თავის ხარჯით მგალობლები. მიზანი მისი იყო ის, რომ ეს გალობა მცოდნე კაცს ნოტებზე გადაეღო და ამ სახით გაევრცელებინა ეს გალობა საქართველოს ყოველ არე-მარეში. მაგრამ მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ აქ იხმარა ერთი საშუალება, რომელიც ბოლოს შეიქმნა ამ კეთილ აზრის დამაბრკოლებელ მიზეზათ. ის ფიქრობდა, და მართალიც იყო, რომ რადგანაც ფული იხარჯება და საქმე საქმეთ მიდის, ერთი რამ მკვიდრი და საშვილი-შვილო დაწერილიყო და ამისათვის გურულებთან გამოიწერა კიდევ კახელი მგალობლები. ამით მას სურდა, რომ ეს ორნაირი და ორი სხვა-და-სხვა კილოზე ნათქვამი გალობა შეედარებია ერთმანეთთან, აეწონა, განეხილა და საუკეთესო მათგანი გადაეღო ნოტებზე. ერთსა და იმავე დროს ამ ნაირათ სიონის სობოროს ორივე კლიროსებზე გამოცხადდენ გურულები და კახელები. შეიბნენ ერთად გურული — დუმბაძის და კახური — ქარბელაშვილის კილოები. დაიწყეს კახელებმა და დააზუზუნეს, დაიწყეს გურულებმა და დაჰკივლეს—დაუკრიმანჭულეს. შეიქმნა ბჭობა — ლაპარაკი მაზე, ვისი

სჯობიაო. ბევრი რამ ითქვა წერითაც და სიტყვითაც, მაგრამ საზოგადოთ კი ეს გამოდიოდა: რამდენათაც ფრანცუზებივით იმერლობას არაფრათ ეკაშნიკა მძიმე და თითქმის მონოტონური ქარბელაშვილის კილო, იმოდენათ ნემცებივით ჩაფიქრებულს და ზანტ ამერლობას (ქართლ-კახელებს) არაფრათ მოეწონათ გადაკიდებული და გადაკრიმანჭულებული გურული ბალობა. ამისთანა დატრიალებულმა ბუქმა ძალე დაასხა თავ-ბრუ გალობის ნოტებზე გადამლებპირს და ლონე გამოლეული „ბეჩავი“ იძულებული გახდა ამ მინდობილებისათვის თავი მიენებებია. აი ეს ერთად ერთი შედარება, ეს ერთად ერთი შეტოლება გურულისა და კახურის კილოებზე ნათქვამი გალობაებისა შეიქნა იმ ხელის შემშლელ მიზეზათ, რომელმაც ამ კეთილი საქმის ბედი უკუღმა მოატრიალა. *)

Ჩინ იყო ამ ორ მოპირდაპირე—მოწინააღმდეგე მხარეებში მართალი, ან მტყუანი? როგორც ეხლა ვტყობილობთ ყველანი სტყუოდენ, ან უკეთა ესთქვათ, ყველანი მართალნი იყვნენ. მხოლოდ აქ მათ ავიწყდებოდათ ის მოვლენა, რომ ჩვენ თუმცა ერთი სისხლისა და ერთი ხორცისანი ვართ, როგორც ქართველები, მაგრამ კავკასიის ბუნების ნაირ-ნაირობამ და აქედგან წარმომდგარმა სხვა-და-სხვა გავლენამ თავ-თავისი ბეჭედი დაგვასვა გულზე საგრძნობელად, ყურზე სასმენად და თვალებზე სახედავათ. აქ იმათ ავიწყდებოდათ ერთი გონიერი ანდაზა, რომელიცა, თითქო ჩვენთვის შეუდგენიათ საგანგებოთ ძველი დროის სახელ-განთქმულ რომაელებს: **de qustibus non est disputandum.** ან ქართულად რომ ესთქვათ: „გემოვნებაზე არ ცილობენ“.

Ჩავიდა მას აქეთ წელიწადი ისე ჩუმათ და მგლოვიარეთ, რომ ბალობაზე არამც თუ საქმით, სიტყვითაც არა უთქვამსთ რა. ბოლოს „იპრიანა Πმერთმა“ და ამდენი უბედურობის გამომცდელებმა, მიჰყვეს ხელი მის შემუშავებას.

Ჩხლა, ვგონებ, სასურველი ბოლო მიეცეს ამ საქმეს, თუ ნოტებზე იქმნა გადაღებული და საზოგადოებამაც ხელი უწყო მას. მაგრამ ვინემ ბალობა ნოტებზე გადიღებოდეს, საჭიროა სასწავლებლებში იქმნენ მოწვეულნი მცოდნე პირები და შაგირდებს ასწავლონ, რადგან ნება მიეიღეთ მთავრობისაგან.

Ჭუთაისის სასულიერო სასწავლებელში ბალობის საქმე კარგათ მიდის, მის შემდეგ, რაც აქ დანიშნეს მთავარ-დიაკონი მ. რ. ხ., შთამამაულობით გურული. მან მოსვლისათანავე გულს მოდგინეთ მოჰკიდა ხელი თავის საგანს და ასწავლის კიდევაც სასულიერო უწყების ახალგაზდობას. სასწავლებლის ეკკლესიაში კვირა-უქმე დღეს ის ჰკრებავს შაგირდებს და თავის ხელმძღვანელობით კარგა დაწყობილათ აგალობებს გურულ კილოზე წირვა-ლოცვის დროს...

მ. ფსაკაძე.

*) ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ პატივცემულ ავტორს ამ შემთხვევაში. იმ პირს, რომელმანც ქართული საეკლესიო ბალობის კილოზე გადაღება იკისრა, კარგად ვიცნობთ. იმან ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი, რომელიც მან არ იცოდა და მხოლოდ ერთი ფულით სარგებლობა უნდოდა. ბოლოს, რომ ველარაფერი გაიგო, გადაწყვეტით გამოაცხადა, რომ ქართული ბალობის ნოტებზე გადაღება ყოვლად შეუძლებელიაო. ჩვენ ბალობას ევროპიული მუზიკაზე კაცი ვერ იბალობებსო და სხვა... ეხლა გამოჩნდა, რომ ქართული ბალობა მუზიკაზე ყველა მუზიკალურ კანონებს ეთანხმება და მშვენიერად იქმნა კიდეც გადაღებული. მაშასადამე მიზეზი მისი თავის დანებებისა გურულების და კახელების ცილობა კი არ იყო, არამედ მისი უცოდინარობა და საქმის გაუგებლობა. დღეს საქართველოს ექსარხოსმა მალალ ყოვლად უსამღვდელო არხიეპისკოპოსმა პავლემ დიდად მოიწადინა ქართული ბალობის აღდგენება და დანიშნა კომიტეტი. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ისმის, კომიტეტს რიგიანად ვერ დაუყენებია საქმე და უსაფუძვლო ცილებას იმერთა და ამერთა ადგილს აძლევს. ექსარხოსმა საჭიროდ დაინახა სახორციელო პირებიც ყოფილიყვნენ მიწვეულნი კომიტეტში, მაგრამ, როგორც ამბობენ, კომიტეტს არავინ მიუწვევია ჯერეთ იმერეთიდამ სადაც ბალობის მცოდნეთა უფრო ბევრს შეხვდებით ვინემ ქართლში და კახეთში.

რედაქტორი.

ნუზალის მონასტერი ოსეთში.

�амარ-დედოფალი გულმოდგინებით სცდილობდა, რომ ოსეთში ქრისტიანობა გაეერცელებინა; იგი ჰგზავნიდა მუნ მისსიონერებს და ამენებდა მრავალ ეკკლესიებს. თამარ მეფის აშენებული ეკკლესიების დღეს მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩენილან, მაგრამ გადარჩა მხოლოდ ერთი — **ნუზალის მონასტერი** (ჩრდილოეთ ოსეთში), რომელსაც დაუძლეევია ჟამთა ვითარება, დამათრგუნველი კაცის გონიერების და განვითარების ნაყოფისა. ნუზალის მონასტერი გარს შემოზღუდულია გალავნით, რომელშიაც მარხია ოსების მეფენი. ეს მონასტერი იმყოფება ორ კლდის შუა. ოსები ამბობენ, რომ აქ სცხოვრებდნენ უწინ მათი მეფენი; შიგ მონასტერში დღეს აღარ სწირავენ და იგი სდგას დადუმებულად, მოშორებული სოფლიდამ. საკურთხეველში ნახავთ ფარს და თაჯს ოსების მეფეთ ოს-ბაყათარისას და სხვა კედელზე მოჩანს რამდენიმე წაშლილი სახე აგრეთვე ოსების

მთავართა (ათონისა, ჯადაროზისა და დავით-სოსლანისა). ამბობენ, რომ ამ მონასტრის კედელზე იყოფო წარწერილი შემდეგი ლექსი:

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი:
ჯარჯონიძე-ჭარხილანი:
ოს-ბაყათარ, დავით-სოსლან,
ოთხ სამეფოს მებრძოლანი.
ფიდაროზ, ჯადაროზ, საყურ და ბიორგი
მტერთა რისხვით შემხედვარნი.
ჩვენნი ძმანი, ისაკ, რომანოზ და ბასილ
იყვნენ ქრისტეს კარგი ყმანი.
ჩვენ გვიჭირავს მიმავალთა, მომავალთა
ოთხის კუთხის ვიწრო გზანი,
ქასარზედ სიმაგრე მაქვს და საბაჟე,
იქ მიჭირავს ხიდის კარი.
საქიოს მოიმედე, საქაოს კარგი მდგარი,
ოქროსა და ვერცხლის მიწა
ამდენი მაქვს, ვითა წყალი.
ქავკასიონი დავიპყარ,
ოთხ სამეფოს გავუმკლავდი,
ქართველს ბატონს და მოვსტაცე,
არ დავაგდე ჩემი გვარი.
მამწვდა, ფიცით მიღალატა,
მან დაიდვა ჩემი ბრალი;
ბაყათარ წყალსა მიეცა,
აღიხოცა ოსთა ჯარი...
ვინც ესე ლექსი იხილოთ,
მცირედ ბრძანეთ შენდობანი...

ეს ლექსი აწ აღარა სჩანს. როგორც ოსები ამბობენ, ეს ლექსი წაეშალა ოსეთის სასულიერო კომისიის მისსიონერს მღ. ნიკოლოზ სამარგანოვს. როგორცა ჩანს თვით მეფეების ძმებიც ბერებად ყოფილან, როგორც მაგ. ისაკ, რომანოზ და ბასილ. ოსები ამბობენ, რომ ამ მონასტერში ბერები იმყოფებოდნენ 1823—40 წლამდეო.

ზემოხსენებული ლექსი უნახავს ერთ პატივცემულ მოგზაურს ნემეცს როზენკამპფს, რომელმაც გარდასცა იგი მარრი ბროსსეს, და ამ უკანასკნელმა თავის მხრით ჩასწერა იგი „Journal Asiatique"-ში ქართულ და ფრანციზულ ენებზე.

ჩუზალის მონასტერი ისეთი შესანიშნავია როგორც ისტორიულ, აგრეთვე რელიგიურის მხრით, რომ ამ ბოლო დროსაც მოგზაურები არ სტოვებენ მას უყურადღებოდ, და რამდენიმე საათს მის ნახვას შესწირავენ ხოლმე.

ეს საფლავები, რომელნიც გალავანს შიგნით არიან, და რომელსაც ოსები „მეფეთა საფლავებს" უძახიან, ჯერ არავისგან არ არის გასინჯული, და მომავალში იქნება ამ საფლავებში ბევრი რამ სასარგებლო ნივთები აღმოჩნდეს.

10 ნოემბერს არის ხოლმე ამ ეკლესიის დღეობა და თითქმის მთელ ოსეთის კუთხეებიდამ მოდიან აქ თაყვანის საცემლად თავის მამა-პაპურ „ძვარისა".

წერილები რედაქტორთან.

I.

რაჭიდამ. ამ წლის იანვრის თვეში ჩვენი სოფლის ბუგეულის ეკლესია გასტეხეს და გაიტანეს ძველი ხელობის ვეცხლის ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა მისი მოწყობილება. საზოგადოება შეიკრიბა ეკლესიაზედ, რომელთადმი ადგილობითი ბლაღოჩინი ალექსი შარაბიძე მიიქცა შემდეგი სიტყვით:

„ძველის დროის მორწმუნეთა ხალხთა კეთილ მოქმედებასა, მათს ღვთის და ეკლესიის სიყვარულისა და სარწმუნოების დაცვისათვის თავ განწირულებასა საზღვარი არა ჰქონდა, ძმანო. ვისგან არს, რაც ეხლა ქონება აქვს ეკლესიებს: ადგილ მამული, ტყე და მინდორი, ძვირფასი ეკლესიის სამკაულნი და სხვანი? სულ ჩვენ წინაპართაგან. ჩვენი დროის ხალხი რა სიყვარულს იჩენს ეკლესიისას და რას სწირავს მას? არაფერს: რითი ვართ ჩვენ მართლმადიდებელნი? სიტყვითა და არა საქმითა. რით განირჩევიან ჩვენი დროის ხალხნი ჩვენ წინაპართაგან? ცუდი ზნეობით და სუსტი სარწმუნოებით. მათის შენაწირის შენახვაც ვერ მოგვიხერხებია... ძველი დროის კაცმა შესწირა ამა წმიდა ეკლესიას ძვირფასი ხელოვნების ვეცხლის ბარძიმ-ფეშხუმი თავის გაწყობილებით, მაგრამ ჩვენ არა თუ შევიძელით დაცვა მისი, არამედ ურწმუნო, მზაკვარი იუდას ხელი შეეხო მას და მოსტაცა იგი ამა ეკლესიასა. ჭეშმარიტად ჩვენი მამა პაპები რომ საფლავიდგან აღსდგნენ, ველარ იცნობენ თავის ქვეყანას! მათ დასტოვეს იგი მტკიცე სარწმუნოებით; ხოლო ეხლა დაინახვენ ათას უწესოებას და ურწმუნოობას. იგინი იყვნენ პატიოსანნი სიტყვითა და საქმითა; ეხლა ნახვენ იგინი მპარაობასა და მტაცებლობასა. იგინი იყვნენ ღვთის მოშიშნი, ეხლა ნახვენ მრავალთა ღვთის მგმობელთა. იგინი იყვნენ ეკლესიის მოყვარენი და შემწირველნი, ეხლა ნახვენ თავის ქვეყანაში ეკლესიის მტაცებლობასა და მგლეჯელობასა. ძვე-

ლი გაუქმებული ეკკლესიებისაც დიდი სასოება ჰქონდათ, მიდიოდნენ იქ და სწირავდნენ ფულს და ნივთს; ეს მათგან შენაწირი ეყარა უბრალო ალაგას, სადღაც ტყეში, მაგრამ მაგალითიც არ ყოფილა ამგვარი შენაწირი წაეღოს ვისმე; ხოლო ჩვენ დროში კარებს და მაგარს ბოქლომებს ამტვრევენ ეკკლესიისას და მიაქვსთ იქიდამ ეკკლესიის უკეთესი საკუთრება... ძველ დროში სად იყო, ძმანო, ეკკლესიის ყარაული? მაგრამ ამ ჩვენს უბედურს დროს, სასირცხვილოდ ჩვენდა, დაწესდა ეკკლესიისათვის ყარაულები, მაგრამ მაინც ვერ დავიცევით ბოროტი კაცებისაგან. ჰოი იუდას თანაზიარო უბადრუკო კაცო! რათ არ გაიხსენე მცნება უფლისა ,,არა იპარო''? რათ არ გაიხსენე სიტყვა მოციქულისა: ,,მპარავთა ვერა დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა''?

ჩილოცოთ, ძმანო იმა ავაზაკისათვის, რომელიც ესე ურიდლად შეეხო ამა სიწმიდესა, მისცეს მას, სიწმიდის მპარავსა, ლმობიერება გულისა და სინანული მსგავსად კეთილ გონიერისა ავაზაკისა. ვილოცოთ. რათა იგი, განშორებული წმიდის ეკკლესიისაგან, შეაერთოს უფალმან მასვე ეკკლესიასა სადიდებელად წმიდისა სამებისა''...

ჩისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

II.

ბ. რედაქტორო!

ჩმ წლის ,,დროების'' მე № 40-ში იყო დაბეჭდილი ერთი ამბავი შესახებ წევის ეკკლესიის მამულების ,,მოხერხებული'' ვაჭრობით გაცემისა მცირე ფასათ და მრევლის შეუტყობლად ვილაცა მ. მ—ლ—ძისაგან. ეს ამბავი თავიდამ ბოლომდის გამოგონებულია და არ დაიმსახურება არა ვითარ ყურადღებას. ამს წინეთ იყო ,,დროებაში'' კიდევ დაბეჭდილი ერთი ახირებული ამბავი, ვითომც შორაპნის მაზრაში ყველა გლეხებს თითო მოშინაურებული გველი ჰყავდესთ და ჩვენ, მღვდლები ყურადღებას არ ვაქცევდეთ. სწერდა ,,დროებაში'' აქაური კორესპონდენტი კიდევ ერთ გამოგონებულ ამბავს: ,,ყვირილამ მოიმატა, წისქვილები და ნავები წაიღო, ყანები წაიღო და სამასი საქონი შეშა მოიტაცაო''. ყველანი გაოცებულნი ვართ; ორი წელიწადია, რაც მდინარე ყვირილა ისე დამშრალი არავის უნახავს და რატომ მოეჩვენა ,,დროების'' კორესპონდენტს ყვირილა მოდიდებულად!.. ვთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთს ,,მწყემსში'', რომ გამოვიყვანოთ მკითხველი საზოგადოება შეცდომიდამ. ვთხოვთ ,,დროების''რედაქციასაც ეს ჩემი წერილი გადაბეჭდოს თავის გაზეთში.

წევის ეკკლესიის მღვდელი ლ. მაღრაძე.

სხვა და-სხვა ამბები და შენიშვნები.

27, 28 და 29 ფებერვლის რიცხვებში შეკრებილება ჰქონდათ იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას. უმთავრესი საგანი ამა შეკრებილებისა იყო ქუთაისში სასულიერო სემენარიის დაარსების საქმე. სამღვდელოება სთხოვს უწმიდეს სინოდს, რომ დაეხმაროს სამღვდელოებას თავისი საშუალებით და იმ ფულს 333 ათას მანეთს, რომელიც მან შესწირა სემინარიის დაარსებისათვის, თანახმაა გადასცეს უწმიდესი სინოდის გამგეობაში; მაგრამ იმ პირობით, რომ, თუ როდესმე სემინარია გახსნის შემდეგ დაიხუროს რომელიმე გარემოებათა გამო, ეს თავისი ფული ისევე დაებრუნოს სამღვდელოებას.

საქართველოს ექსარხოსი არხიეპისკოპოსი პავლე ძლიერ მოწადინებულია ამ კეთილი და დასავლეთი საქართველოისათვის სანატრელი საქმის აღსრულებაზე. მას სურს ის სურვილი აღუსრულოს დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებას, რაც საქართველოს აღმოსავლეთის სამღვდელოებას გაუწია თეოფილაკტემ. მთელი სამღვდელოების და ერის თვალი მისკენ არის დღეს მიქცეული და მისგან მოელის ამ სანატრელი საქმის დაგვირგვინებას.

* * *

29 ფებერვალს ჩვენმა გამოჩენილმა ქორიძემ გააგონა მისგან ნოტებზე გადაღებული ქართული გალობა, მთელი იოანნე ოქროპირის წირვის წესისა. თუმცა ძლიერ ცუდი ამინდი იყო, მაგრამ სულ გაივსო ხალხით მთელი შენობა. ერთი სკამი აღარ ყოფილა ცარიელი და მრავალიც ფეხზე იდგნენ და უყურებდნენ. სასიამოვნო იყო ხალხის შეხედვა. შეკრებილებაში ხედავდი ბერსაც, მღვდლებსაც, დიდებსაც და პატარებსაც, ქართველებს და რუსებსაც. ყველა დიდის მოუთმენელობით მოელოდა ამ გალობის მოსმენას. რვა საათზე საღამოთი ფარდა აიხადა და ხალხს თვალის წინ გამოჩნდნენ სცენაზე ბ. ქორიძე მეუღლითურთ, ბბ. ი. კიკნაველიძე, ბალანჩივაძე, კონტრიძე და ბერიძე ნოტებით ხელში.

მაყურებლებმა დიდის ალტაცებით მიიღო იგინი. დაიწყეს სულ თავიდამ ოქროპირის წირვის წესი: ,,ამინ, უფალო შეგვიწყალე, შენ უფალო, ამინ, აკურთხევს სული ჩემი...“ ყველას სიამოვნების გრძნობის ქრუანტელმა დაუარა ტანში და დიდის ალტაცებით მიიღო ხალხმა.

იგალობეს: ,,მოვედი თაყვანის ვსცეთ, წმიდაო ღმერთო, და სულისაცა შენისათანა, დიდება შენდა უფალო, მამასა და ძესა“ და სხვა კიდევ მოკლე გალობანი. ესენიც დიდის ალტაცებით მოისმინეს მაყურებლებმა. იგალობეს ,,რომელი ქერაბიმთა და ვითარცა მეუფისა“ მაგრამ, ხალხში სიჩუმეა და არავინ არაფერს არ ამბობს. იგალობეს მრწამსი, შენ გიგალობ, ღირსა არს ჭეშმარიტად და მამაო ჩვენო. ესენიც დიდის სიამოვნებით მოისმინეს. იგლობეს მამაო ჩვენო და განიცადეზე საგალობელი ძილის პირი. ძლიერ მოეწონა მსმენელებს და მრავალ გზის გამოუწოდეს პატივისცემის გამოცხადებისათვის.

აქ ჩვენ ადგილი არ გვაძლევს ნებას, რომ დაწვლილებით გადავსცეთ მსმენელების აზრი ამ ახლად გადაღებულ ქართულ გალობაზე მკითხველებს. ჩვენ მხოლოდ მკითხველებს გადავსცემთ მსმენელების აზრს და გრძნობას, რომელთაც მათი ნათქვამებიდამ გამოიყვანს კაცი. ყველა მსმენელებზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გალობამ. ნოტებზე მომხდარმა გალობამ აღუძრა ყველას სასოება და იმედი, რომ ჩვენი გალობა საუკუნოდ დარჩება და აღარ მოკვდება, როგორც დღემდის ყველანი, გულსაწყვეტად, ამას ფიქრობდნენ. ყველას გულში ჩაინერგა სიამოვნებითი გრძნობა და იმედი მომავალ დროში ჩვენ ქართულ საეკკლესიო გალობის აღდგინებაზე.

ეს არის უმთავრესად სასიამოვნო, ჩვენის აზრით, ყველასთვის. რაიცა შეეხება გალობის კილოს, ზოგიერთები მშვენიერად არიან გადაღებულნი და სასიამოვნო გასაგონია, მაგრამ ზოგიერთები კი შეცდომით არიან გადაღებულნი. ყველასგან თითქმის ამას გაიგონებდით მსმენელებში: ,,ქართული გალობა სწორეთ მშვენიერი გამოვა ნოტებზე და შესაძლებელიც ყოფილა, მაგრამ ბ. ქორიძეს უნდა ჰყავდეს კარგად მცოდნე არა ერთი და ორი, არამედ ყველა კარგი გალობის მცოდნენი.“ ჩვენ ხალხს მშვენიერი ყურთა სმენა აქვს და ძლიერ მალე მიხვდებოდენ სადაც შეცდომით იყო კილო და ხმები გადაცემული. რუსებს მრავალ-ნაირი გალობა აქვსთ და ჩვენშიაც, რომ ყველა კილოს გალობა იყოს ვითომ რა ვნება იქმნება!... გაჰქრა ის მწუხარება და შემაწუხებელი აზრი, რომელიც დაჰბადა ზოგიერთების უგნურმა სიტყვებმა, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ ქართული გალობის ნოტებზე გადაღება ყოვლად შეუძლებელიაო. პირველად ესეც კმარა, ამის შემდეგ საზოგადოების თანაგრძნობაზე და კომიტეტის გამჭრიახობაზე არის დამოკიდებული საქმე.

***

როგორც რუსული გაზეთებიდამ ვტყობილობთ, გამოვიდა უმაღლესი ნებართვა, რომლის გამო ყველა მაღალ და საშუალო სასწავლებლებში სრულის კურსის შემსრულებელთა ეძლევათ ნება საშინჯი გაკვეთილების მიუცემლად დაინიშნონ მასწავლებლებად სოფლის პირველ დაწყებითი სკოლებში..,

***

სოფელ ვანიდამ (შორაპნის მაზრაშია) ჩვენ გვატყობინებენ, რომ ავაზაკებს გაუქურდავსთ ვანის ღვთის-მშობლის ეკკლესია; წაუღიათ ვეცხლის ბარძიმ ფეშხუმი და მისი ყველაფერი ამკაულობა. გამოძიება არის დანიშნული, მაგრამ ქურდები ჯერეთ არავინ აღმოუჩენიათ.

***

ეხსომებათ მკითხველებს ,,მწყემსის“-ს მე № 3-ში იყო სხვა-და-სხვა ცნობებთა შორის დაბეჭდილი ერთი ცნობა ბ. საბინინისაგან შედგენილი წმიდა ნინას ხატის შესახებ. ამის შესახებ ჩვენ მივიღეთ ბ. საბინინისაგან შემდეგი წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ის ამბობს: ,,მე, მართალია, წარსულ წელში მივეცი თხოვნა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოსს პავლეს, შესახებ მისა, რომ ეკკლესიებს მოეპოებინა წმიდა ნინას ხატი; მაგრამ დღემდისინ არის გაყიდული მარტო ცხრა. უცნობ და ნაცნობ პირებზე არის და რიგებული ექვსას სამოცდა ცხრა ხატი. ძლიერ ვსწუხვარ, რომ ჩვენში კაცი შურისა გამო სასარგებლო საქმეს ვერ აკეთებს. ჩვენში ყველანი ხელის შემშლელათ გამოჩნდებიან და სომხობაში კი ამისთანა შემთხვევაში ძლიერ ხელს უწყობენ“.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

სიტყვა,

თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ ქ. ქუთაისში კათედრის სობოროსა შინა კვირიაკესა უძღების შვილისასა.

ლუკ. 15. 11—32.

Ჩგონებ, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, რომ თქვენ ყოველთა ყურადღებით მოისმინეთ დღეს წაკითხული სახარებისაგან იგავი უძღებსა შვილსა ზედა და გახსოვსთ, რა იყო თქმული მას შინა. ამისათვის არ განვიმეორებ მას ეხლა თქვენ წინაშე, არამედ ვეცდები გამოვიყვანო მისგან ის სწავლა, დარიგება, რომელსა ჩვენ იმითი გვაძლევს ჯაცხოვარი.

Ესავი ესე ვრცელი, მძვენიერი და ფრიად ადმაშენებელი, უწინარეს ყოვლისა შეგვაგონებს ჩვენ რა სახით, რა ზომად დაეცემა, გაფუჭდება ცხოვრება და ზნეობა კაცისა მის, რომელი გაშორდება Ღვთისაგან, არ ემორჩილება მის სჯულსა, არამედ დაემონება ყოველთა ცოდვათა და ვნებათა, ერთი სიტყვით სცხოვრობს ულმრთოთ. როგორათაც უძღები იგი შვილი, გამოართვა რა მამასა მისსა ყოველი ნაწილი, რაიცა მას ერგებოდა სამკვიდრებელისაგან, წავიდა შორს ქვეყანას, დაიწყო მუნ გარყვნილი და უწმინდური ცხოვრება, დააბნია ყოველიფერი მისი ქონება, მერმე ისე დაგლახავდა სულითაც და ხორციელათ, რომელ ღორების მწყემსად დააყენეს. მსგავსადვე კაცი, რომელი განეშორება ზეციერსა მამასა, გააგდებს უღელსა საღმრთოისა სჯულისასა, დაგლახავდება, დაეცემა და დამახინჯდება სულიერად, მოაკლდება ყოველსა სულიერსა ნიჭსა და მადლსა Ღვთისაგან მინიჭებულსა და დაემზგავსება უწმინდურსა პირუტყვსა.

Ჩარნა, ძმანო ჩემნო, თუ ვისურვებთ, რომ ამ იგავისაგან სრული და შესაფერი ჩვენთვის სწავლა გამოვიყვანოთ ერთს მის ჭაზრზედ, ანუ კერძოზედ უნდა მივაქციოთ ჩვენ ყურადღება. ამ იგავში გამოხატულია ერთობ, და ნამეტნავად, გაფუჭებულის და გარყვნილის კაცის მდგომარეობა, უკიდურესი გამახინჯება და დაცემე კაცისა, ეს მისთვის, რათა უფრო მტკიცედ აღიბეჭდოს ჩვენ გულში რა სახით წაახდენს და გააფუჭებს ცოდვა და Ღვთისგან გაშორება კაცსა. გარნა ამ სახით გაფუჭებულნი და დაცემულნი კაცნი, როგორათაც უძღები შვილი, გამოყვანილი იგავსა შინა, მრავალნი არ არიან და ნურცა ჭქნას Ღმერთმან, რომ იყვნენ, ქრისტიანეთა შორის. ახლანდელი ქრისტიანების ზნეობითი მდგომარეობა უფრო სხვა არის, იგი საშვალია; ესე იგი: უმეტესა ნაწილი აწინდელთა ქრისტიანეთა შორის არ არიან ისრე განშორებულნი ზეციურისა მამისგან, როგორც უძღები შვილი, გარნა არც ის ითქმის მათზედ, რომ იგინი იყვნენ ახლო Ღმერთთან, ანუ იყვნენ მის სახლში. ამაზედ უნდა დაფიქრდე შენ, ძმაო და ეს უნდა ჭკითხო შენს თავს: იმყოფები თუ არა თვით სახლსა შინა მამისა შენისასა? იქნება მზგავსად უძღებისა შვილისა არ წასულხარ შორეულ ქვეყანაში, არ დაგიბნევია ყოლიფერი შენი სულიერი ქონება, გარნა იქნება, არც Ღვთის სახლში ხარ და არც მისი სახლის ეზოში, არამედ გარეშე ეზოისა ესე იგი: არც თბილი ხარ, არც ცივი, არამედ გრილი, ვითარცა აუვედრებდა წმიდა იოანნე Ღვთის მეტყველი და მახარებელი ზოგიერთთა ქრისტიანეთა. ესრეთი მდგომარეობა, ჩემის ჭაზრით, უფრო საშიშოა და საეჭვო; იგი ატყუებს კაცს; უძღები შვილი, თუმცა შთავარდა უკიდურესსა მდგომარეობასა შინა, გარნა ბოლოს თვით ამ საშინელმა მისმა მდგომარეობამ მიიყვანა იგი გონზედ, შეაშინა, გაადვიძა, აიძულა შენანებად და მოქცევად მამისა მიმართ მისისა. შენ კი, იქნება, ისე არა ხარ დაგლახაკებული სულიერად, როგორც იგი უძღები, და ჭგონია, რომ არცა ხარ Ღვთისგან განშორებული, იმყოფები ზეციერისა მამისათანა, მაშინ ოდესაც ხარ Ღმერთთან ახალი, არა ხარ თვით მის სახლში. იმას კი არ ვამტკიცებ, რომ უკიდურესი წახდენა უძღებისა შვილისა უმჯობესია, ვიდრეცა შენი საშვალი მდგომარეობა, არამედ იმას შეგაგონებ, რომ კარგად შეიტყო, ხარ შენ თვით შინაგან სახლისა Ოთხლისასა, ანუ მხოლოდ ეზოსა შინა, ანუ იქნება, სულ გარეშე ეზოისა. ვაი თუ ატყუებ შენ თავს, ვაი თუ ცრუ რაიმე იმედი გაქვს და მით დაძინებულია შენი სვინდისი. მართალია, ხან-

დის-ხან მიხვალ ეკლესიაში, რომელიც არის Ivთის სახლი, ხან-და-ხან ეზიარები, დიდი რამე და მძიმე ცოდვა არ შეგმთხვევია, კაცის მკვლელი არა ხარ, მაგრამ მაინც არა ხარ უმჯობესი სხათა კაცთა, არამედ ვითარცა ერთი ათასთა და ბევრეულთა სოფლის კაცთა შთაფლულთა სოფლის ამოებასა შინა. ეს არ არის საკმაო, ვერ შეხვალ ამით სასუფეველსა შინა! აბა როდის იქმნები შენ Ivთის სახლში, რა უნდა ჭქნას კაცმა, რომ იგი სწორეთ იყოს სახლსა შინა Ivთისასა დამყარებული? მან უნდა ეცადოს და ყოველი ღონე უნდა მოიხმაროს, რომ თვით მისი სული და გული, და ბოლოს თვით სხეული გარდაიქცეს Ivთის ტაძრად და სადგომად, მან უნდა შეამკოს თავი თვისი სათნოებითა, სიწმინდითა, სასოებითა და უმეტესად სიყვარულითა და მხოლოდ მაშინ შეიქმნება იგი Ivთის სადგურად სიტყვისა მებრ ეფესლისა: „აკეთუ ვინმე უყვარდე მე ჯ სიტყვანი ჩემნი დაიმარხნეს, მამამანცა ჩემმან შეიყვაროს იგი ჯ მოვიდეთ მასა ჯ მისთანა დავადგრეთ (იოან. 14—23.

Ykარნა ეს ძვირად მოხთება, რომ ვინმე ამ წუთ და ამაო სოფელში ეღირსოს ამისთანა მადლსა, აღვიდეთ ესრეთსა დიდსა ხარისხსა სათნოებისასა, რომ შეიქმნეს ტაძარი ცხოველი Ivთისა. მაშა სადამე ჩვენ ყოველთა ერთიდა დაგვრჩა საშუალება. თუ გსურს, ძმაო, არ დაემსგავსო უძღები შვილის დაცემასა და დაგლახაკებისა, ბაძევდი მისსა მოქცევას და სინანულსა; შეიძინე სინანული, გული შემუსვრილი და მდაბალი სული. ეცადე, რომ მარადის იყოს შენ მორის ცხოველი გრძნობა სულიერისა ეღირსებასა, ეცადე, რომ ყოველთვინ ცრემლით ევედრო Ivმერთსა, ვითარცა უძღები იგი: მამაო, ვსცოდე ცად მიმართ ჯ წინაშე შენსა ჯ არდა ვარ ღირს ძედ წოდებად შენდა. მყავ მე ვითარცა ერთი მონათა შენთაგანი. ამინ.

სიტყვა,

თქმული სოფლის წმიდის ნათლის-მცემლის ეკლესიაში დასაფლავების დროს თ. ა. ჯავახოვისა ბლაგოჩინის მღვდლის დ. ბარნაბოვის მიერ.

„Ykგოდებ და ვიგლოვ მე, რა-ყამს გულის-ხმა-ვყო სიკვდილი, და ვიხილო საფლავსა შინა მდებარე, შვენიერება ჩვენი ხატათ ღვთისა დაბადებული შეურაცხათ, უპატიოთ და უსულოთ.“ (გალობა თ, ხმა ვ.)

Ykსრეთ სთქვა ეკლესიის გალობათა მგალობელმა, როდესაც იხილა, რომ კაცი, რომელსაც აქვს ღვთის სახიერება მინიჭებული, რომელსაც აქვს უკვდავი სული ღვთისა მიერ შთაბერილი, რომელიც არის თვით უგონიერესი არსება მრთელს დედა-მიწასედ,—იხილა კუბოში მდებარე: შეურაცხოდ, უსულოდ ჯ უპატიოდ. ჯ მართლაც, დიდათ შესაწუხარი, დიდათ საგოდებელი ჯ სამტირალო არის ყოველი კაცისათვის სიკვდილი. გუშინ ეს მშვენიერი ქმნილება ჩვენთან იყო, ჩვენთან ბაასობდა, ჩვენთანვე ჭფიქრობდა ჯ დღეს უსულოდ განისვენებს კუბოში, დღესვე „მიწად მიეცემის.“ მაგრამ არ უნდა ვტირიოდეთ ჯ არც უნდა ვსწუხდეთ, ძმანო, ისე როგორც უსასოონი; მისთვის, რომ სიკვდილი, რომელმაც მოსპო სიცოცხლე ამა პატიოსნისა გვამისა, არის მიზეზი მისი განსვენებისა ამაო ამ წუთი სოფლის შფოთისაგან. „რომელმან არა იხილოს სიკვდილი, იგი არა სცხონდეს;“ მაშა-სადამე სიკვდილი, რომლისა-გამო ჩვენ დღეს ვტირით ამ პატიოსანი გვამის მოსპობას, არის ერთი იმ საშუალობათაგანი, რომელიც დაწესებულია საცხონებელად კაცთა. კაცი კვდება, მაგრამ არ ჭქრება. როგორც ჩვენ დაბიურად, ეგრეთვე თვით საღმრთო წერილიც

ამ სიკვდილს უწოდებს „გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ“, ე. ი., გარდასვლად მეორე ცხოვრებაში. იყვეს ნება უფლისა, აღსრულდეს ამაზედ ნება უფლისა. „იყავ ნება შენი“ უფალო! „ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა.“

ჩვენ გვრჩება, მხოლოდ, ვილოცოთ განსვენებისათვის სულისა ამის და მოტევებისათვის ცოდვებისა, რომელნიცა უქმნიეს ამას ამა სოფელსა შინა. მე, უმეტეს ყოველთა, როგორათაც სულიერსა შვილსა შენსა და ნათლულსა, როგორათაც დავალებულსა შენ მიერ, ვალი მადევს ვილოცო შენთვის. შენ იტვირთე გამოყვანა ჩემი ნათელსა შინა ქრისტესა; ხოლო მე ვიტვირთებ ლოცვასა გამოხსნისათვის სულისა შენისა. შენ ითავდებე წინაშე უფლისა, რომ მე დავედგინე მას და დავემკვიდრებინე ქრისტიანობრივსა სარწმუნოებასა შინა, ხოლო მე ვთავდებებ სულსა შენსა ლოცვითა და ვედრებითა დამკვიდრებისათვის საუკუნო ნეტარებასა შინა. შენ მიირქვი და ნათელ-მეც; შენი დარიგებით ვიზრდებოდი და ვმტკიცდებოდი ქრისტიანობრივსა სარწმუნოებასა შინა; ხოლო მე ვილოცავ, რათა ღმერთმან დაამტკიცოს სული შენი საუკუნესა ნეტარებასა შინა. შენ აღმომიყვანე წყლისაგან, რომლითაც დამიხსენ ადამის მიერ ქმნილთა ცოდვათაგან; ხოლო მე ვილოცამ დახსნისათვის სულისა შენისა ქმნილთა შენ მიერ ცოდვათაგან; დასასრულ შენ მიულოცე მშობელსა ჩემსა და ევედრებოდი ჩემს გაზრდასა და ბედნიერს ცხოვრებასა. ხოლო მე შევევედრები ზეციერსა არსებასა, რათა მან განუსვენოს წმიდათა შორის თვისთა სულსა შენსა, სადა იგი არა არს სულთქმა და გოდება; არა არს ჭირი და ურვა; არამედ არის სიხარული დაუსრულებელი. ამინ.

მცხეთის ტაძარი.

მცხეთის ტაძარო, დიდის დუმილით
შენ ჩემი თვალი შორით გიმზერის,
შენ შემკული ხარ წმიდის დიდებით
ყოველთ ივერის ნაშთებსა შორის.

ერთის ხის ქვეშ იესოს კვართი
შენსა ახლოსა განისვენებდა
და ქართველთ ერი წარმართად მყოფნი,
ამ დიდს სიწმიდეს თავს დაჰყურებდა.

სად გამოცხადდა მოვლინებული,
იესოს მადლით ქალწული ნინა
და მადეთგანა ყოველთ ქართველთა
ჭეშმარიტება გულთ მოგვეფინა.

შენ ხარ მოწამე ძველის დროების;
შენ ჩვენთ წინაპართ საქმეს ჰქადაგებ
და ჯვარს წმიდასა შენს გუმბათიდგან
დიდის დიდებით ცად აღამაღლებ.

ვითა მე, ეგრე ყველა ქართველი
გულით შენდამი მოისწრაფება;
დიდ არის შენი სახსენებელი
ვიდრე ქართველი ერი იქნება!

ილ. ფერაძე.

ქ რ ი ს ტ ე

ცოდვილსა სულსა მოუწოდებს თვისდამი.

რაისათვის, დამიტევე შენ, კაცო, მე?
რაისათვის შენი შემყვარებელი მოიძულე?
რაისათვის კვალად მიუდექ მტერსა ჩემსა?

მოიხსენე, რამეთუ შენთვის ციდგან გარდამოვხედ.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის ხორც შესხმულ ვიქმენ.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის ქალწულისაგან ვიშევ.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის ჩჩვილ ვიქმენ.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის დავმდაბლდი.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის დავგლახაკენ.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის ქვეყანასა ზედა ვიცხოვრე.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის დევნულება დავითმინე.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის ავად ხსენება, მრახვა, ლანძღვა, უპატიობა, ნერწყვა, ყვრიმლისცემა, განკიცხვა, უკედრებითნი ვნებანი მივიღე.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის უსჯულოთა თანა შევირაცხე.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის სამრახითა სიკვდილითა მოვკვედ.

მოიხსენე, რამეთუ შენთვის დასაფლავებულ ვიქმენ.

ციდგან გარდამოვხედ, რათამცა შენ აღვიყვანო ცაში.

დავმდაბლდი, რათამცა შენ აღგამაღლო.

დავგლახაკენ, რათამცა შენ გაგამდიდრო.

უპატიურება მივიღე, რათამცა შენ გადიდო.

მოწყლულ ვიქმენ, რათამცა შენ განგკურნო.

მოვკვედ, რათამცა შენ გაგაცოცხლო.

შენ შესცოდე და მე ცოდვანი შენნი ვიტვირთე.

შენ ხარ დამნაშავე, ხოლო მე სასჯელი მივიღე.

შენ ხარ მოვალე, ხოლო მე ვალი გარდავიხადე.

შენ ხარ განსჯილი სასიკვდილოთ, ხოლო მე შენთვის მოვკვდი.

ჩემმა სიყვარულმა, ჩემმა მოწყალებამ მიმიზიდა მე ამისადმი. მე ვერ მოვითმინე, რომ შენ ტანჯულიყავ ესრეთ ბოროტებაში.

შენ ამ ჩემს სიყვარულს უგულებელს-ჰყოფ?

ნაცვლად სიყვარულისა სიძულვილს მომიძღვნი?

ნაცვლად ჩემსა ცოდვა გიყვარს.

ნაცვლად ჩემსა გულის-თქმათა ემსახურები.

რაი ჰპოვე შენ ჩემში ღირსი სიძულვილისა?

რაისათვის არ გსურს ჩემთან მოსვლა?

სიკეთე გსურს შენთვის? მე მაქვს ყოველი კეთილი.

ნეტარება გსურს? მე მაქვს ყოველი ნეტარება.

სიმშვენიერე გსურს? ვინ არს უმშვენიერეს ჩემსა?

კეთილშობილება გსურს? ვინ არს უკეთილშობილეს ძისა Ⴖვთისა და Ⴕალწულისა?

სიდიდე გსურს? ვინ არს უდიდეს ცათა მეუფისა?

დიდება გსურს? ვინ არს უდიდებულეს ჩემსა?

სიმდიდრე გსურს? მე მაქვს ყოველი სიმდიდრე.

სიბრძნე გსურს? მე ვარ სიბრძნე Ⴖვთისა.

მეგობრობა გსურს? ვინ არს მოყვარული და შემყვარებელი უმეტეს ჩემსა, რომელმანცა სული ჩემი დავსდევ ყოველთათვის.

შემწეობა გსურს? ვინ შეგეწევა ჩემს მეტი?

მკურნალს ეძიებ? ვინ განგკურნავს ჩემს მეტი?

სიხარულს ეძიებ? ვინ გაგახარებს ჩემს მეტი?

ნუგეშს ეძიებ მწუხარებაში? ჩემს მეტი ვინ განუგეშებს?

განსვენებას ეძიებ? ჩემში ჰპოებ განსვენებასა სულისა შენისასა.

მშვიდობას ეძიებ? მე ვარ მშვიდობა სულიერი.

ცხოვრებას ეძიებ? მე მაქვს წყარო ცხოვრებისა.

ნათელს ეძიებ? მე ვარ ნათელი სოფლისა.

ჭეშმარიტებას ეძიებ? მე ვარ ჭეშმარიტება.

გზას ეძიებ? მე ვარ გზა.

წინამძღვარს ეძიებ ციდგან? მე ვარ ნამდვილი წინამძღვარი.

მაშ, რატომ არ გსურს მოსვლა ჩემდამო?

მოახლოება ვერ გაგიბედნია? ვისა აქვს ჩემზედ უკეთესი მარჯვე მისამართი.

თხოვნისა გეშინია? სარწმუნოებით მთხოვნელს რომელს უყავ მე უარი?

ცოდვანი არ გიშვებენ შენ? მეც ცოდვილთათვის მოვკვდი.

ცოდვათა სიმრავლე გაძრწუნებენ შენ? მე მაქვს უმეტესი მოწყალება.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ. მათ. ია. კჱ.

რუსულიდგან.

მღ. ნიკოლოზ მაღალდაძე.

მართლ-მადიდებელის ეკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის ზოგი-ერთი კითხვების აღხსნა და განმარტება.

შეიძლება თუ არა გვირგვინის კურთხევის შესრულება ხორციელის დაუწყების კვირას?

მეორმოცდაათე თავში სჯულის კანონის წიგნისა არის ნათქვამი, რომ ქორწინების შესრულება არის აღკრძალული ხორცთა კრების (ხორციელი დაუწყების) კვირიდამ თომას კვირიაკემდის. ამ საფუძვლისაგამო და მისთვის, რომ მეორე დღეს იწყება ყველიერის კვირა, რომელი დღეებიც არის დაწესებული ქრისტიანეთათვის დიდი მარხვის მისაგებებლად, სალოცავად და სასინანულოდ, გვირგვინის კურთხევა არ შეიძლება. სამშაბათს და ხუთშაბათს საღამოს არის აღკრძალული გვირგვინის კურთხევა იმა მიზეზისათვის, რომ მეორე დღე ოთხშაბათი და პარასკევი მარხვა არის. ამა მიზეზისათვის არ შეიძლება გვირგვინის კურთხევა ხორციელის დაუწყების კვირა დღესაცა...

შეიძლება თუ არა მღვდელმა აკურთხოს გვირგვინი ერთი ანუ რამდენიმე დღე, რომ აკლდეს სასძლოს ანუ სასიძოს სრულ წლოვანებას?

მღვდელ-მთავრებს აქვს მინიჭებული უფლება თავისი შეხედულობისამებრ რომ თუ სასიძოს, ანუ სასძლოს სრულწლოვანებას ექვსი თვე აკლია შეხედვისამებრ ტანის აგებულებისა და ასაკოვნებისა სასიძოსა, ანუ სასძლოსა მისცეს ნება გვირგვინის კურთხევისა სრულ წლოვანებამდის; სხვას კანონი ნებას არავის აძლევს. ამისათვის მღვდელს არა აქვს უფლება გვირგვინის კურთხევა შეასრულოს სასიძოზე და სასძლოზე ნება დაურთველად მღვდელ-მთავრისა ერთი ანუ მარტვა ორი-სამი დღის მეტიც, რომ არ აკლდეს.

შეიძლება თუ არა გვირგვინის კურთხევა ნაკურთხ ეკკლესიაში, რომელშიაცა ოდიკი არ არის?

გვირგვინის კურთხევა კანონისა მებრ, უნდა შესრულდეს უთუოდ ტაძარში; ეს მიტომ არის დაწესებული, რომ გვირგვინის კურთხევა შესრულებული უნდა იქნეს სახალხოდ—საქვეყნოდ. ამისათვის ამას ყოველთვის ასრულებს მღვდელი, იქნება თუ არა ოდიკი ეკკლესიაში. მაგრამ ყოველს შემთხვევაში მღვდელმა ნებართვა უნდა გამოითხოვოს მღვდელ-მთავრისაგან, თუ ეს საძნელო მოსახერხებელი არ არის სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო...

შეიძლება თუ არა გვირგვინის კურთხევა რამდენიმე მღვდელმა შეასრულოს ერთად?

თუ სამღვთო ლიტურღიის შესრულება შეიძლება ერთად რამდენიმე მღვდელთაგან, რასაკვირველია, გვირგვინის კურთხევაც შეიძლება შესრულდეს ორი ანუ მეტი მღვდლებისაგან ერთად. კანონებში კი არაფერი არ არის ამაზედ მოხსენებული: არც აღკრძალული არის და არც ნება დართული. მაგრამ გვირგვინის კურთხევის შემსრულებელი უთუოდ ერთი უნდა იყოს და სხვანი მღვდელნი, რამდენიც უნდა იყონ, მარტო შემოსვილნი დაესწრებიან. გვირგვინის კურთხევა როდესაც სრულდება ვინმე მეფის სახლობის და ჩამომავლობის პირზე, მაშინ გვირგვინის კურთხევას შეასრულებს ერთი მარტო უმფროსი მღვდელი და მღვდელ-მთავრები შემოსილნი ტრაპეზში დგანან, ტრაპეზის მარჯვნივ და მარცხნივ მხარეზე. ასე იყო შესრულებული გვირგვინის კურთხევა მემკვიდრეზე, აწ **იმპერატორ ალექსანდრე ალექსანდრეს ძეზე** 1866 წელში.

რომელ წლამდე არ შეიძლება გვირგვინის კურთხევა მშობლების ნება დაურთველად?

ამ კითხვის აღხსნა გარკვევით არა სჩანს კანონებში. ძალისა გამო მეექვსე სტატიისა პირველი ნაწილის მეათე ტომისა კანონთა კრებისა ,,აღეკრძალებათ ქორწინებაში შესვლა შვილთა ნება დაურთველად მშობელთა, აპეკუნთა და მზრუნველთა.'' ამავე საგანზე ბლაღოჩინთა ინსტრუქციაში, რომელიც გამოცემულია 1857 წელსა და დამტკიცებულია უწმიდესი სინოდისაგან, არის დაწერილი: ,,გვირგვინის კურთხევა არ შეიძლება შვილებზე კანონიერ წლოვანების შესრულებამდე ნება დაურთველად მშობელთა, აპეკუნთა და მზრუნველთა.'' პირველ შემთხვევაში კანონი დედმამის ნება დაურთველად შვილებზე პირ-და-პირ აღუკრძალავს მღვდელს გვირგვინის კურთხევას და მეორე შემთხვევაში კი—კანონიერ წლოვანებამდე. რადგან ოცდა ერთი წლის შემდეგ შვილები მოიპოებენ უფლებას, მზრუნველებთა გამგეობისაგან გამოდიან და თვითონ განაგებენ თავის საქმეს და ცხოვრებას; ამისათვის კანონით ყველა მღვდელს შეუძლია გვირგვინის კურთხევა შვილზე დედ-მამის ნება დაურთველად ოცდა ერთი წლის შესრულების შემდეგ.

შეიძლება თუ არა გვირგვინის კურთხევაზედ თავდებებათ დადგენ თავის შვილისათვის დედ-მამა, ანუ დედათა სქესის პირნი?

,,ობისკის'' წიგნის მეცხრე მუხლში სწერია: ,,გვირგვინის კურთხევა უნდა შესრულდეს გარეშე მოწმების თანა დასწრებით. რასაკვირველია დედ-მამა გარეშე პირს არ შეადგენენ, თუ ამ სიტყვის აზრს დავაკვირდებით. მეათე მუხლში სწერია: ,,ხელის მოწერა თავდებთა (подпись поручителей), რომელიც ნიშნავს თავდებთა მამრის სქესისას და არა მდედრისას. მაშ სადამე დედ-მამის მიღება თავდებებათ, ანუ მდედრის სქესთა არ შეიძლება.

ნარევი

რისთვის იწოდება ოჩრშაბათი მძიმე, კვიმატიან დღეთ?

ჩრავალნი ორშაბათის დღეს რიცხვენ უბედურ, კვიმატიან დღეთ, ამისათვის ამ დღეს არაფერ საქმეს არ დაიწყებენ, თუმცა ეს დღე მართლა არაფრით არ განირჩევა სხვა დღეებისაგან. საიდამ ანუ რისთვის დაიმსახურა ორშაბაამა ამისთანა ცუდი სახელი? ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ამისთანა აზრი შედგა ორშაბათზე მიტომ, რომ როგორც სახელმწიფო ალაგებში მოსამსახურე პირნი, ისე მუშებიც ორშაბათს გრძნობენ თავისთავს ცუდათ და გულიანათ საქმეს ვერ ეწევიან. ეს მართალია, მაგრამ ამ პირებს ავიწყდებათ და ან არ იციან მიზეზი ამისი. მოსამსახურე პირები კვირა საღამოს ატარებენ დროს, ან ბანქოს თამაშობაში, ან ქეიფობაში და ან სხვებ და მთელი ღამე არ იძინებენ. მუშანი მიეცემიან ლოთობას და, რასაკვირველია, ორშაბათს დილას გრძნობენ თავის თავს მძიმედ და ცუდათ. მაგრამ საკვირველია, რომ ორშაბათზე ამისთანა აზრი ძლიერ ძველი დროიდამ არის შედგენილი. რომაელებს ორშაბათის დღე შეწირული ჰქონდათ მთვარისათვის. ამისათვის დღემდისინ ევროპიის ზოგიერთ სახელმწიფო ხალხთა შორის ორშაბათი იწოდება „მთვარის დღედ". რადგან ორშაბათი იწოდებოდა მთვარის დღეთ, ღამის, ბნელის უფლისად ამისთვის ორშაბათიც იწოდებოდა „შავ დღედ, უბედურ დღედ". ებრაელები ერწმუნებიან, რომ ორშაბათ დღეს იყვნენ გადმოყრილნი ციდამ წყეული ანგელოზები და რადგან ამით ორშაბათ დღეს დაიწყო ცოდვა ორშაბათიც უბედური დღე უნდა იყოს მათის აზრით. ყველა ამისთანა უსაფუძვლო აზრი მიეტევება უგუნურს, კერპთაყვანის მცემელს და მდაბალ უსწავლელ ხალხს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მრავალნი ნასწავლნი პირნიც ამისთანა ამაოდ მორწმუნენი არიან: არ დაიწყებენ არაფერ საქმეს ორშაბათს და არც გაემგზავრებიან შორს ამ დღეს, ყოველივე ცუდი საქმე, რაც თავისი უგუნურობით შეემთხვევათ, აბრალიან ორშაბათს!..

რიცხვი.	დღე.	კალენდარული ცნობები. მარტის თვისა 1—31 რიცხ.
1	ხუთ.	წმიდისა დიონისეს მოწამისა ეკდეკიასი.
2	პარას.	წმ. მღვდ.-მოწამისა თეოდოტისა. **რუსეთის ტახტზე ასვლა იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა.**
3	შაბ.	წმ. მოწამისა ევსტროპისი.
4	კვირა.	**მეორე კვირაიკე მარხვისა.** სტიგ. სხ. **Ч.** ხმა **Ч.** დიონისეს მ. ჩვ. გერასიმესი.
5	ორშ.	წმიდისა მოწამისა კონონისა.
6	სამშ.	წმ. ორმოცდა ორთა მოწ. ამმორეველთა.
7	ოთხ.	წმ. მღ. მოწამეთა ვასილ, ეფრემ, კასიტონ, ეგეანი, ეთერი ჯ მისთანათა.
8	ხუთ.	დიონისეს მამისა ჩვენისა თეოფილაქტესი.
9	პარას.	წმ. ორმეოცთა მოწ. სევასტიის ტბასაშინა წამებულთა.
10	შაბ.	წმ. მოწამისა კოდრატესი.
11	კვირა.	**კვირაიკე მესამე მარხვისა.** წმ. შორის მამისა ჩვენისა ხოტორან პატრიარქისა. **სტიხეროა სახარება Ъ.** ხმა **Ъ.**
12	ორშ.	დიონისეს მამისა ჩვენისა თეოფანესი.
13	სამშ.	ნაწილთა აღმოუკვნ. წმ. მ. ჩვ. ნიკიფორესი.
14	ოთხ.	დიონისეს მ. ჩვენისა კენედიკტესი.
15	ხუთ.	წმიდისა მოწამისა აღაპისი.
16	პარას.	წმიდისა მოწამისა საბიანესა.
17	შაბ.	დიონ. მ. ჩ. ალექსი კატისა Ѧვთისა.
18	კვირა.	**მეოთხე კვირ. მარხვ.** წმ. მ. ჩ. კვირილე იერ. არსიეპისკ. სტ. **სახარება В.** ხმა **В.**
19	ორშ.	წმ. მოწამეთა ტვიროსანთოს ჯ დარიასი.
20	სამშ.	დიონეთ მ. ჩ. ხვევს მონასტერსა შინა რომელნიცა მოისრნეს სარატიან.
21	ოთხ.	დიონისეს მ. ჩვენისა იაკობ ეპისკოპოსისა.
22	ხუთ.	წმ. მღვდელ-მოწამისა ვასილისა.
23	პარას.	წმ. დიონ. მ. აწ. ნიკონისი.
24	შაბ.	დიონ. მ. ჩ. ზაქარიასი ჯ წ. მ. ჩ. არტემისა.
25	კვირა.	**მეხუთე კვირაიკე მარხვ.** სახარება ოკ. წმ. დედოფლისა ჩვ. Ѧვთის-მშობ. ჯ მარადის ქალწულისა მარიამისა. სტიხეროა სახარება დღესასწაულისა. ხმა **Ѣ.**
26	ორშ.	კრება მთავარ ანგელოზისა გაბრიელისა.
27	სამშ.	წმიდისა დედისა ჩვენისა მატრონასი.
28	ოთხ.	დიონ. მ. ჩ. იერონისა ჯ წმ. საკვირველ მოქმედისა ხტეფანესი.
29	ხუთ.	დიონისეს მ. ჩვენ. მარკოსისა.
30	პარას.	დიონისეს მ. ჩ. იოანე კიბის აღმწერელისა.
31	შაბ.	დიონისეს მამისა ჩვენისა იპატესი.

განცხადებანი.

რედაქციაში ისყიდება, პირველად შედგენილი ქართულს ენაზედ სახალხო სამკურნალო წიგნი, კარაბადინი შედგენილი მ. დ. ღამბაშიძის-მიერ.

ეს კარაბადინი განიყოფება ოთხ ნაწილად: პირველ ნაწილში არის მოყვანილი სწავლა კაცის ტანის აგებულებაზედ და ცხოვრებაზედ. მეორე ნაწილში არის მოყვანილი გიგიენური დარიგება და სწავლა ჯან-მრთელობის დაცვაზედ. მესამე ნაწილში არიან აღწერილნი სხვა-და-სხვა შინაგანი და გარეგანი სნეულებანი და მათი წამლობა. მეოთხე ნაწილში არიან აღწერილნი წამლები, მათი მომზადება, მოქმედება და ხმარება. ბოლოს, დამატებაში არის მოყვანილი მოწამვლისაგან ავათ გამხდარი კაცის ნიშნები და სხვა-და-სხვა საშუალებაები ავათმყოფის მოსარჩენად.

ეს წიგნი ყველასათვის საჭირო და სასარგებლოა. ბევრს შეუძლია სხვა გაჭირვებულ ავათ მყოფებსაც საშუალება აღმოუჩინონ. ამისთანა პირებში პირველი ადგილი უკავიათ სოფლის პრიხოდის მღვდლებს, რომელნიც ყველაზედ ნამეტნავად არიან დაახლოვებულნი სოფლის ხალხთან.

წიგნის ფასი ყველგან გაგზავნით ყდიანი ღირს მანეთად.

ამ წიგნის ყიდვა შეიძლება:

ქ. თფილისში, ზრიქუროვის და შავერდოვის წიგნების მაღაზიებში. გორში, გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ პ. ბურჯანაძესთან. სურამში, დიაკონ თადეოზ შველიძესთან. ქუთაისში, მურადოვის და ჭილაძის მაღაზიებში. დაბა საჩხერეში, მასწავლებელ ყარამან ჩხეიძესთან. დაბა ზუგდიდში, ბლაღოჩინ დეკანოზ მეუნარგიასთან. დაბა ორპირში, სოფლის სკოლის მასწავლებელ იასონ ქაპანაძესთან. დაბა ლაილაშში, ბლაღოჩინ ილარიონ გერსამიასთან.

შეიძლება ამ წიგნის დაბარება „მწყემსის“ რედაქციიდამ.

ყველა ზემო-ხსენებულ ადგილებში შეუძლიათ ყიდვა მსურველთა; მღვდლებთათვის სახელმძღვანელო წიგნისა, რომელსა შინა არის სხვათა შორის დარიგება საეკკლესიო საბუთების შედგენაზე. ეს უკანასკნელი წიგნი იყიდება თითო ორ აბაზად.

საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

სიტყვანი და შესხმანი

ჩაღალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ეგზარხოსის პავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი— 546 და მესამე ტომი — 538 გაბადონი. ფასი სამივე ტომ. ოთხი მან. და ათი შ. წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და „მწყემსი“-ს რედაქციიდამაც.

იმერეთის საეპარხიო მთავრობისაგან.

იმერეთის საეპარხიო მთავრობა ამით აცხადებს, რომ საეკკლესიო სანთლის დუქანში, ქუთაის გამოწერილია და მიღებული მოსკოვიდან და თფილისიდგან წმინდა, ნამდვილი თაფლის საეკკლესიო სანთელი. იციან ყოველთა რა გაფუჭებული და ყალბი საეკკლესიო სანთლები იყიდება დუქნებში და მაღაზიებში. იმ სანთლებში მესამედიც აღარ იპოვება თაფლის მასალა, არამედ ყალბი. ეკკლესიის კანონების წინააღმდეგი. იგინი დნება, როგორც წყალი; მათგან გამოდის მყრალი მავნებელი სუნი და კვამლი, რომელიც აფუჭებს ჯვარს, აშავებს კედლებს, ახდენს შესამოსელს და ხატებს. ნაცვლად მადლისა ცოდვა და ზარალი გამოდის მათგან. ნაცვლად ჭეშმარიტისა და სათნო მსხვერპლისა ყალბს და სჯულის წინააღმდეგს შესწირავს მივართმევდით ღმერთსა. ამიერიდგან ვისაც სურს ჭეშმარიტი მსხვერპლი წმინდა სანთელი შესწიროს ღმერთს, იპოვნის ხსენებულ დუქანში. თუმცა ძვირად დაუჯდა მათი გამოწერა, სასულიერო მთავრობას, მაგრამ ფასს არ უმატებს, როგორც უწინდელი სანთლები იყიდებოდა ახლაც იმავე ფასად გაიყიდება ეს ახალი უმჯობესი და უნამდვილესი სანთელი.

Дозв. цензурою Кутаисъ, 29 Февраля 1884 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.